



**Gruzijos Oni
savivaldybė**

საქართველო
ონის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



**Lietuvos Respublikos
Kazlų Rūdos savivaldybė**

ლიტვის რესპუბლიკა
კაზლუ-რუდას თვითმმართველობა

Gruzijos Oni savivaldybės
ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės

BENDRADARBIAVIMO SUSITARIMAS

Gruzijos Oni ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės, toliau vadinamos Šalimis, atsi-
žvelgdamos į abipusį suinteresuotumą ateityje gilinti, stiprinti ir plėtoti ekonominį ir kultūrinį bendradar-
biavimą, vadovaudamosi lygybės ir abipusės naudos principais, sudarė šį susitarimą:

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ონის და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობას
შორის თანამშრომლობის შესახებ

ონისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობა, შემდგომში
მხარეები, ითვალისწინებენ რა ორმხრივ დაინტერესებას ეკონომიკური და კულტურული
თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებასა, განმტეებასა და გაფართოებაში, ხელმძღვანელობენ
რა თანასწორობასა და ორმხრივი სარგებლის პრინციპებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

1 straipsnis

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას
სფეროებში:

- მრეწველობის, სოფლის მეურნეობის
ტრანსპორტისა და ვაჭრობის;
- მეცნიერების, ტექნიკის, განათლების და
ჯანმრთელობის დაცვის;
- კულტურისა და ხელოვნების;
- ტურიზმის განვითარებისა და სპორტის;
- ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების
რაციონალური გამოყენების;
- ადგილობრივი თვითმმართველობის.

Šalys plėtoja bendradarbiavimą šiose srityse:

- pramonės, žemės ūkio, transporto ir prekybos;
- mokslo, technikos, švietimo ir sveikatos apsau-
gos;
- kultūros ir meno;
- turizmo ir sporto;
- ekologijos ir gamtos resursų racionalaus naudo-
jimo;
- vietos savivaldos.

მუხლი 2.

მხარეები ხელს შეუწყობენ ორმხრივი ვაჭრობის წარმოების, საინვესტიციო და ეკონომიკური სხვა სახეების განვითარებას.

მხარეები ხელსაყრელ პირობებს შექმნიან ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს განვითარებისათვის. მათ შორის: ინვესტიციების წახალისებით, მხარდაჭერით, დაცვით და ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზებით.

მხარეები ხელს შეუწყობენ ერთობლივი საწარმოების შექმნას, მხარს დაუჭერენ იმ ორგანიზაციათა ორმხრივ თანამშრომლობას, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესში, რომლებიც განლაგებულია ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ტერიტორიაზე.

მუხლი 3.

მხარეები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს შეუწყობენ პირდაპირი ხელშეკრულებების (კონტრაქტების) განხორციელებას ნედლეულის, საკვების, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სამომხმარებლო საქონლის, მომსახურების მიწოდებაზე ყველა სახის საკუთრების ორგანიზაციებს შორის, რომლების განლაგებულია ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ტერიტორიაზე. პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინაწილებენ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები, რომლებიც დებენ ამ ხელშეკრულებას.

მუხლი 4.

მხარეები ხელს უწყობენ სასაქონლო ბაზრების განვითარებას, იმ საქონლის რეკლამირებისათვის ერთობლივი საწარმოების შექმნას, რომლებიც პარიტეტულ საწყისებზე იწარმოება მხარეთა ტერიტორიაზე, ხელს უწყობენ ორივე მხარის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების წარმომადგენლობების შექმნას.

მხარეები ორგანიზებას უკეთებენ და ხელს უწყობენ, ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ტერიტორიაზე შექმნილი პროდუქციის გამოფენებისა და ბაზრობების მოწყობას.

მუხლი 5.

მხარეები ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, ასევე ამ ორგანიზაციების და მოსახლეობის სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეობების საჭიროებების, სამომხმარებლო საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ასევე პერსპექტიული საინვესტიციო პროექტების

2 straipsnis

Šalys skatina tarpusavio prekybos, pramonės, investicijų ir kitokį ekonominį bendradarbiavimą.

Šalys sudaro palankias sąlygas plėtoti bendrą verslo subjektų veiklą, skatindamos, palaikydamos, saugodamos investicijas ir kurdamos naujas darbo vietas.

Šalys padeda steigti bendras įmones, palaiško Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės teritorijose esančių organizacijų, jų tarpe smulkiojo ir vidutinio verslo, dvišalį bendradarbiavimą.

3 straipsnis

Savo įgaliojimų ribose Šalys padeda sudaryti ir įgyvendinti tiesiogines sutartis (kontraktus) tarp visų nuosavybės formų organizacijų, esančių Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės teritorijose, dėl žaliavų, maisto produktų, pramoninės-techninės paskirties produkcijos, plataus vartojimo prekių tiekimo ir paslaugų teikimo.

Už sutartyse (kontraktuose) aptartą įsipareigojimų vykdymą atsako verslo subjektai, sudarę šias sutartis.

4 straipsnis

Šalys skatina prekių rinkos plėtrą, Šalių teritorijose gaminamų prekių bendrą reklamos įmonių įkūrimą pariteto sąlygomis, padeda įsteigti abiejų šalių verslo subjektų atstovybes.

Šalys organizuoja ir rengia Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės įmonių produkcijos parodas ir muges.

5 straipsnis

Šalys keičiasi informacija apie pramonės ir žemės ūkio organizacijas, taip pat apie šių organizacijų ir gyventojų pagrindinių rūšių pramonės produkcijos, plataus vartojimo prekių ir žemės ūkio produkcijos poreikius bei apie perspektyvius investicinius projektus, kuriuos tikslinga įgyvendinti Šalių teritorijose.

(რომლების მიზანმიმართულად ინერგება მხარეთა ტერიტორიებზე) შესახებ.

მხარეები, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ახორციელებენ იმ მომსახურებებისა და საექსპორტო პროდუქციის ძირითადი სახეობების ჩამონათვალთა გაცვლას, რომელიც გამოშვებულია ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ორგანიზაციების მიერ.

მხარეები, ცალკეული შეთანხმებების საფუძველზე ახორციელებენ სპეციალისტთა გაცვლას, ორგანიზებას უკეთებენ მათ სტაჟირებას წარმოების ორგანიზების სპეციფიკის და საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის პირობების გამოცდილების შესწავლის მიზნით.

მუხლი 6.

მხარეები ხელს უწყობენ იმ მმართველ ორგანოებს, სამეცნიერო, სამედიცინო ორგანიზაციებს და სასწავლო დაწესებულებებს შორის კავშირის დამყარებასა და დალაგებას, რომლებიც მდებარეობენ ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ტერიტორიებზე.

მუხლი 7.

მხარეები ხელს უწყობენ გამოცდილების, გამოკვლევათა შედეგების, პუბლიკაციათა, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ხასიათის ინფორმაციების გაცვლას, მონაწილეობას იღებენ ერთობლივი სემინარების სიმპოზიუმების კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში.

მუხლი 8.

მხარეები თანამშრომლობენ ჯანდაცვის სფეროში, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოების ორგანიზების და მომხმარებლისათვის მათ მიწოდებაზე დაწესებული ნორმების დაცვის ჩათვლით, ხელს უწყობენ ფარმაცეპტული ბაზის განვითარებას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ამოცანების ერთობლივად გადაწყვეტისათვის.

მუხლი 9.

მხარეები ხელს უწყობენ ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის ტერიტორიებზე არსებულ თეატრებს, მუზეუმებს, შემოქმედებით კავშირებს, ასოციაციებს შორის თანამშრომლობისა და პირდაპირი კონტაქტების დამყარებაში, ასევე ხელს უწყობენ მხატვრული გამოფენების, ფესტივალების,

Šalys, siekdamos pagerinti bendradarbiavimą prekybos ir ekonomikos srityse, keičiasi Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės įmonių pagrindinių paslaugų rūšių ir eksportuojamos produkcijos sąrašais.

Pagal atskirus susitarimus Šalys vykdo specialistų mainus ir organizuoja jų stažuotes, siekdamos išanalizuoti Šalių gamybos organizavimo ypatumus ir užsienio ekonominės veiklos sąlygas.

6 straipsnis

Šalys padeda užmegzti ir plėtoti ryšius tarp Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės valdymo institucijų, mokslo, medicinos ir švietimo įstaigų.

7 straipsnis

Šalys keičiasi patirtimi, tyrimų rezultatais, publikacijomis ir mokslinė-technine bei kitokio pobūdžio informacija, dalyvauja bendruose seminaruose, simpoziumuose, konferencijose ir kituose renginiuose.

8 straipsnis

Šalys bendradarbiauja sveikatos apsaugos srityje, tame tarpe ir sprendamos ekologiškai švarių maisto produktų gamybos organizavimo bei nustatytų normų laikymosi juos tiekiant vartotojui klausimus, skatina plėsti farmacijos bazę siekiant bendrai spręsti gyventojų medicininio aptarnavimo uždavinius.

9 straipsnis

Šalys skatina bendradarbiavimą ir padeda užmegzti tiesioginius ryšius tarp Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės teatrų, muziejų, kūrybinių sąjungų, asociacijų ir fondų, taip pat rengia dailės parodas, festivalius, kolektyvų ir solistų gastroles, muzikos ir dramos kūrybinių pastatymus, delegacijų, parodų ir spaudos produkcijos mainus, organizuoja teminius

კოლექტივებისა და სოლისტების გასტროლების, სცენაზე მუსიკალური და დრამატული ნაწარმოებების დადგმების, დელაგაციათა გაცვლის, გამოფენებისა და ბეჭდური პროდუქციის, თემატური შეხვედრების ჩატარების, მრავალმხრივ ურთიერთქმედებას კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის სფეროსა თვითშემოქმედებაში.

მხარეები ითანამშრომლებენ მათი კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობის ორმხრივად დაცვისა და რესტავრაციის სფეროში, ისტორიული და რელიგიური ძეგლებისა და ობიექტების ჩათვლით. ამასთან მხარეები ხელს შეუწყობენ ონის მუნიციპალიტეტისა და ლიტვის რესპუბლიკის კაზლუ-რუდას თვითმმართველობის კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის, არქივების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაში.

მუხლი 10.

მხარეები შექმნიან ხელსაყრელ პირობებს სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების, ტურიზმისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, წაახალისებენ სპორტული და ტურისტული დელაგაციებით გაცვლას, სპორტის განვითარების მიზნით საქმიანი კავშირების დამყარებას, ორგანიზებულ და ინდივიდუალურ ტურიზმს.

მუხლი 11.

მხარეები ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე და იმ აქტების სრულყოფაზე თანამშრომლობას, რომლებიც რეგლამენტარებულს ხდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მოღვაწეობას.

მუხლი 12.

მხარეები ავითარებენ ორმხრივ თანამშრომლობას გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ხელს უწყობენ ეკოლოგიურად სუფთა საწარმოების გაფართოებას.

მუხლი 13.

წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციის მიზნით საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის კანონმდებლობის გათვალისწინებით შეიძლება შედგეს ცალკეული ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხება ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებებს.

vakarus, visapusiškai bendradarbiauja kultūros ir švietimo bei meno saviveiklos srityje.

Šalys bendradarbiaus siekdamos išsaugoti ir restauruoti jų kultūros ir meno vertybes, taip pat istorinius ir religinius paminklus, Šalys leis naudotis Gruzijos Oni savivaldybės ir Lietuvos Respublikos Kazlų Rūdos savivaldybės kultūros ir istorijos paveldu, jų archyvais.

10 straipsnis

Šalys sudarys palankias sąlygas plėtoti ir stiprinti bendradarbiavimą sanatorinio-kurortinio gydymo ir poilsio, turizmo ir sporto srityse, skatins turistinių ir sporto delegacijų mainus, padės užmegzti dalykinius santykius tarp organizacijų palaikant sporto, organizuoto ir individualaus turizmo infrastruktūrą.

11 straipsnis

Šalys bendradarbiauja sprendamos vietos savivaldos klausimus, tobulindamos aktus, kurie reglamentuoja vietos savivaldos organų, jų tarnautojų veiklą.

12 straipsnis

Šalys plėtoja abipusį bendradarbiavimą aplinkosaugos srityje, racionaliai naudojant ir atkuriant gamtos išteklius, užtikrinant ekologinę saugą, padeda vystyti ekologišką gamybą.

13 straipsnis

Siekdamos įgyvendinti šio Susitarimo nuostatas pagal Gruzijos ir Lietuvos Respublikos įstatymus Šalys gali sudaryti atskiras sutartis dėl dvišalio bendradarbiavimo konkrečiose srityse.

მუხლი 14.

თითოეული მხარე თავს იკავებს იმ ქმედებებისაგან, რომლებსაც შეუძლია დააზარალოს მეორე მხარე.

14 straipsnis

Kiekviena Šalis turi susilaikyti nuo bet kokių veiksmų, kurie gali padaryti žalos kitai Šaliai.

მუხლი 15.

საჭიროების მიხედვით წინამდებარე შეთანხმების შესრულების საკითხებზე მხარეები მართავენ ორმხრივ კონსულტაციებს და ამის საფუძველზე ადგენენ თანამშრომლობის პროგრამებსა და ხელშეკრულებებს.

15 straipsnis

Esant poreikiui, Šalys organizuoja dvišales konsultacijas dėl šio Susitarimo vykdymo klausimų ir kitų susitarimų sudarymo jo pagrindu, dėl bendradarbiavimo programų.

მუხლი 16.

მხარეები აწარმოებენ ინფორმაციის გაცვლას იმ სფეროებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების №1 მუხლში. ასევე სხვა საკითხებზე, რომლების წარმოადგენენ მათთვის ორმხრივ ინტერესს.

მხარეები დროულად აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში იმ ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციაზე.

16 straipsnis

Šalys keičiasi informacija šio Susitarimo 1 straipsnio nurodytose srityse, taip pat dėl kitų klausimų, kurie domina abi Šalis.

Šalys laiku praneša viena kitai apie nacionalinių įstatymų pasikeitimą savo valstybėse, kurie gali turėti įtakos šio Susitarimo įgyvendinimui.

მუხლი 17.

მხარეები ახორციელებენ თანამშრომლობას წინამდებარე შეთანხმების ჩარჩოებში საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის კანონმდებლობების შესაბამისად და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

17 straipsnis

Šalys bendradarbiauja savo kompetencijų ribose vadovaujantis šiuo Susitarimu ir nacionaliniais Gruzijos ir Lietuvos Respublikos teisės aktais.

მუხლი 18.

წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებანი და დამატებანი ხორციელდება მხარეთა ორმხრივი წერილობითი თანხმობით და ფორმდება ოქმები, რომლებიც შეთანხმების განუყოფელი ნაწილებია.

18 straipsnis

Šis Susitarimas gali būti keičiamas ir papildytas abipusiu raštišku Šalių sutikimu ir įformintas protokolais, kurie yra neatskiriama Susitarimo dalis.

მუხლი 19.

ნებისმიერ დავას, რომელიც შეეხება წინამდებარე შეთანხმების ცალკეული მუხლების განმარტებასა და გამოყენებას მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

19 straipsnis

Visus ginčytinus klausimus, kilusius dėl šio Susitarimo atskirų nuostatų arba straipsnių taikymo arba išaiškinimo, Šalys sprendžia derybų ir konsultacijų metu.

მუხლი 20.

წინამდებარე შეთანხმება არ მოახდენს გავლენას მხარის უფლებებსა და მოვალეობებზე სხვა მოლაპარაკებებთან დაკავშირებით და არ ზღუდავს მხარეებს რეგიონთაშორისი ურთიერთობების ჩარჩოებში თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებაში.

20 straipsnis

Šis Susitarimas neturi įtakos Šalių teisėms ir prievolėms pagal kitus susitarimus ir nekliudo Šalims kitaip bendradarbiauti tarpregioninių santykių ribose.

წინამდებარე შეთანხმება იდება 5 წლით და ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. შეთანხმების მოქმედება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება 5 წლით იმ პირობით, რომ არცერთი მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადებს მისი მოქმედების შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს მხარეების მიერ იმ პროგრამათა შესრულებაზე, რომლებიც დამტკიცდა წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად და არ დასრულებულა მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.


Šis Susitarimas sudarytas penkeriems metams ir įsigalioja nuo jo pasirašymo dienos.

Susitarimas automatiškai pratęsiamas kiekvienam penkerių metų laikotarpiui, jei nė viena iš Šalių, likus šešiams mėnesiams iki Susitarimo galiojimo termino pabaigos, raštu neperduoda kitai Šaliai savo ketinimų jį nutraukti.

Nepaisant šio Susitarimo nutraukimo, pagal šio Susitarimo nuostatas patvirtintos pradėtos vykdyti programos ir nepabaigtos pasibaigus jo galiojimo terminui, užbaigiamos, jei Šalys raštu nesusitaria kitaip.

Gamgebelio Oni
savivaldybės vardu
ონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

Giorgi Lobzanidzé
გიორგი ლობჯანიძე



Lietuvos Respublikos
Kazlų Rūdos savivaldybės vardu
ლიტვის რესპუბლიკის
კაზლუ-რუდას თვითმმართველობის
მერი

Savivaldybės meras
V. Kanevičius
ვიტაუტას კანიავიჩუსი

